№ 6070/01/23.04.19

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 7 მაისს, თბილისში, „ღია საზოგადოების ფონდის“ ორგანიზებითა და მხარდაჭერით, ჩატარდება კონფერენცია უსახლკარობისა და საცხოვრისის სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

მომხსენებლებად წარმოდგენილნი იქნებიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უწყებები (მათ შორის, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები), არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური წრის წარმომადგენლები, ასევე დამოუკიდებელი მკვლევრები.

ღონისძიებაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თქვენი, ან თქვენი მოადგილის მონაწილეობა მომხსენებლად. მოხსენების თემა იქნება „საბინაო სისტემები და საცხოვრისის უზრუნველყოფა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკაში“.

კონფერენციაზე ასევე ორგანიზებული იქნება სადისკუსიო პანელები, სადაც დამსწრე საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა წარმოადგინოს ღია კითხვები.

გთხოვთ, თქვენი მონაწილეობა დაგვიდასტუროთ იმეილით, ან გამოგვეხმაუროთ ქვემოთ მითითებულ ტელეფონის ნომერზე, არა უგვიანეს 2019 წლის 30 აპრილისა.

წერილს თან ვურთავთ კონფერენციის დღის წესრიგს.

მადლობას მოგახსენებთ წინასწარ

პატივისცემით,

ქეთი ხუციშვილი,

აღმასრულებელი დირექტორი

Open Society Georgia Foundation
10 T. Chovelidze St., Tbilisi, Georgia 0108
Tel: (995 32) 225 04 63; Fax: (995 32) 229 10 52
E-mail: contact@osgf.ge
Website: www.osgf.ge

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი
საქართველო 0108, ქ.თბილისი, თ.ჭოველიძის ქ. 10
ტელ: (995 32) 225 04 63, ფაქსი: (995 32) 229 10 52
ელ-ფოსტა: contact@osgf.ge
ვებგვერდი: www.osgf.ge